სარეგისტრაციო კოდი
190.040.000.35.160.000.289

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №13

2010 წლის 4 აგვისტო

ქ. რუსთავი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები (დანართი 1).

მუხლი 2.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2007 წლის 5 აპრილის №119 დადგენილება „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3.
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კ. გურგენიძე

დანართი 1

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის თვითმმართველობის

მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2480

2	ქალაქის მერი	2480
3	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1500
4	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1400
5	ქალაქის მერის მოადგილე	1250
6	სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატის უფროსი	900
7	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	710
8	სამსახურის უფროსის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის და მერის თანაშემწე, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	550
9	მერიის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – მერიის რწმუნებული	470
10	მთავარი სპეციალისტი	480
11	წამყვანი სპეციალისტი	460
12	უფროსი სპეციალისტი	440
13	სპეციალისტი	420